

შეფასების სისტემა (ოთხ კომპონენტური):

1. პირველი კომპონენტი: დასწრება (კურსის განმავლობაში მაქსიმალური 5 ქულა, ერთი დღის დასწრებაში - 1 ქულა);
2. მეორე კომპონენტი: ყოველდღიური აქტივობა (კურსის განმავლობაში მაქსიმალური 25 ქულა; მაქსიმალური ერთი სასწავლო დღის განმავლობაში - 5 ქულა "საუკეთესო"; ასევე ერთი სასწავლო დღის განმავლობაში შესაძლებელი შეფასებები - 4 ქულა "ძალიან კარგი", 3 ქულა "კარგი", 2 ქულა "საშუალო", 1 ქულა "დამაკმაყოფილებელი");
3. მესამე კომპონენტი: კლინიკაში დამოუკიდებელი მუშაობა (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა) /მონაწილეობა არაფორმალურ დისკუსიებში (მაქსიმალური შეფასება 10 ქულა, დეტალიზაციისთვის იხ. ზედა პუნქტი). ამდენად, ჯამში მაქსიმალური 15 ქულა;
4. მეოთხე კომპონენტი: კოლოკვიუმი - მაქსიმალური 15 ქულა (ტესტ-კითხვარის მიხედვით, რომელიც შეიცავს 15-15 ტესტს; ერთ ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით).
5. მეხუთე კომპონენტი: გამოცდა (მაქსიმალური 40 ქულა).

სწავლის შედეგი / კომპეტენციები (ცოდნა და უნარები):

სწავლის შედეგი: ალერგოლოგიაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს საგნის თეორიულ ცოდნა, აცნობიერებდეს მიღებულ ინფორმაციას და გააჩნდეს შემდგომში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დამოუკიდებელი დასკვნების გაკეთების უნარი, შეეძლოს ალერგოლოგიის საკითხებზე (პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე და ა. შ.) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ერთად მსჯელობა და სხვა. კერძოდ:

1. ბრონქული ასთმისა და სხვა გავრცელებული ალერგიული დაავადებების დიაგნოზის დასმა;
2. პაციენტის ანაფილაქსიური შოკიდან და სხვა კრიტიკული ალერგიული მდგომარეობებიდან გამოყვანა პირველი რიგის პრეპარატებით და სხვა საშუალებებით;
3. მედიკამენტებისადმი არაიმუნური და იმური რეაქციების განვითარების რისკის ჯგუფების განსაზღვრა;
4. კანის (ეპი-, ინტრა- და სუბკუტანეური) სინჯების შედეგების ინტერპრეტაცია;
5. ჭეშმარიტი და ფსევდოალერგიული რეაქციების დიფერენცირება.